



სახელმძღვანელო კლიმატის ცვლილების ოფიციალური დოკუმენტების (NDC და CAP1) შეფასებისათვის

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მეთოდურ სახელმძღვანელოს, რომელიც დაეხმარება დაინტერესებულ პირებს კლიმატის ცვლილების დოკუმენტების (NDC, CSAP, CAP) ამბიციურობის შეფასებაში.

სახელმძღვანელოში მოცემული მეთოდოლოგია დაეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას და მთავრობის წარმომადგენლებს, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, შეაფასონ და განსაზღვრონ საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილისა (NDC) და კლიმატის სამოქმედო გეგმის (CAP) გაუმჯობესების ვარიანტები. იგი ყურადღებას ამახვილებს NDC-სა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დოკუმენტებში შერბილებისა და ადაპტაციის კომპონენტების გაძლიერებაზე, ასევე მათი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობაში მოყვანასა და ფინანსების როლზე.

სახელმძღვანელოში შეფასების კრიტერიუმები დახარისხებულია ეტაპებისა (შემუშავება, გამოქვეყნება და განხორციელება) და სექტორების მიხედვით.

კლიმატის ცვლილების ხელშემწყობი ფაქტორების განვითარებაში საქართველოს წილი მცირეა, თუმცა საქართველოდან ატმოსფეროში ყოველწლიურად გაფრქვეულმა სათბური აირების რაოდენობამ 1990 წელს შეადგინა 48 მლნ.ტონა, ხოლო 2018 წელს 18 მლნ.ტონა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარალელურად, მოსალოდნელია რომ გაიზრდება სათბური აირების ემისიის რაოდენობაც.

კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილების მიზნით, ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, საქართველო იღებს შემდეგ ვალდებულებებს:



საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შემცირდეს.



საქართველო იღებს პირობიან ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბური აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 50-57%-ით შემცირდეს, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას. 50%-იანი შემცირება იქნება საჭირო, თუ მსოფლიო გააყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2⁰ C-იან სცენარს, ხოლო 1.5⁰ C-მდე ტემპერატურის შეზღუდვის სცენარის შემთხვევაში, საჭირო იქნება სათბური აირების ემისიების 57%-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით.

¹ https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/29290?fbclid=IwAR1KFnws0-TTw-k7utu3Deq_VSe8AUPJoA3JAUcsKgbAOETNiEXOPIxxzcQ

² ვალდებულება არ მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონს, ვინაიდან აღნიშნული რეგიონები დროებით ოკუპირებული ტერიტორიებია და საქართველოს მთავრობა არ/ვერ ახორციელებს კონტროლს.

³ აღნიშნული შემცირება სათბურის აირების ემისიის ჯამური მაჩვენებლის ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 16%-ით შემცირების ეკვივალენტია.

კლიმატის ცვლილების დოკუმენტების შეფასების სქემა

შეფასების სქემის შემდეგ ჯამში შესაძლებელია მაქსიმალური 219 ქულის დაგროვება, თუმცა ინდიკატორთა ცვლადი რაოდენობის გამო ქულათა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს ან შემცირდეს. რაც მეტი ქულა დაგროვდება, მით უფრო გაიზარდება დოკუმენტების შესაბამისობა საერთაშორისო ტენდენციებთან.

➤ **კრიტერიუმი** - რომელზეც პასუხი არ გვაქვს, შესაძლებელია გამოტოვოთ

კრიტერიუმები საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) და კლიმატის სამოქმედო გეგმისათვის CAP (კლიმატის ცვლილების სტრატეგია CSAP)		დიახ 3 ქულა	ნაწ. დიახ 2 ქულა	არა 0 ქულა	ნაწ. არა 1 ქულა
1.	დოკუმენტების შემუშავების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობდა?				
2.	ხდებოდა ონლაინ-ტექნოლოგიების გამოყენება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად? ¹				
3.	დოკუმენტების შემუშავების პროცესი იყო გამჭვირვალე?				
4.	ითვალისწინებდნენ სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებს?				
5.	არსებობს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, საფინანსო სექტორისა და მოქალაქეებს ჩართულობას დოკუმენტების გადასინჯვის პროცესში?				
6.	INDC-თან შედარებით გაძლიერებულია ქვეყნის მიზნები?				
7.	დოკუმენტებში ასახულია სათბურის აირების ემისიებთან დაკავშირებული უახლესი მონაცემები სამიზნე სექტორების მიხედვით?				
8.	დოკუმენტებში ასახულია 2030 წლამდე სექტორული პროგნოზები?				
9.	იყო წარმოდგენილი მონაცემების დამუშავებისა და დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგია?				
10.	დოკუმენტებში შემოთავაზებულია დაბალემისიანი განვითარების მიზნების მისაღწევი გზები?				
11.	ხდება NDC-სა და SDG ² -ის მიმართულებით პროგრესის პერიოდული შეფასება და ანგარიშგება?				
12.	სამიზნე სექტორებში ვითარების მოსალოდნელი გაუმჯობესება დაკავშირებულია თანამედროვე				

⁴ <https://wwf.panda.org/our-work/our-focus/climate-and-energy-practice/ndcs-we-want/?364143/NDCsWeWant-WWF-climate-ambition-checklist>

⁵ <https://idfi.ge/public/upload/Meri/Final.PDF>

	ტექნოლოგიებთან, დოკუმენტები ასახავს ამ ტექნოლოგიების შესაბამის ხარჯებს?				
13.	გათვალისწინებულია დოკუმენტების განხორციელებისა და კოორდინაციის პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საკითხები?				
შესაბამისობა საერთაშორისო ტენდენციებთან					
14.	გათვლილი ბიუჯეტი შეესაბამება 1.5 ⁰ C პარიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საერთაშორისო სცენარს?				
15.	როგორ მიგაჩნიათ არსებობს დოკუმენტებით დასახული გეგმების მისაღწევი ფინანსური რესურსები?				
16.	შეესაბამება საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი-NDC პარიზის შეთანხმების მიზნებს?				
17.	დოკუმენტები შეესაბამება ნულოვანი ემისიების გრძელვადიან სტრატეგიებს?				
18.	დოკუმენტები მოიცავს ადაპტაციის მიზნებს?				
19.	ასახულია დოკუმენტებში COVID-19 აღდგენის პაკეტი?				
20.	თუ ქმნის დოკუმენტები ჩარჩოსა და მიზნებს დაბალნახშირბადიანი განვითარების მომავლისთვის?				
21.	თანხვედრაშია სამიზნე სექტორულ მიზნები NDC-ის მიზნებთან?				
22.	ფინანსური მოთხოვნები საკმარისია დოკუმენტების მიზნების განსახორციელებლად?				
23.	შესაბამისი განვითარების მისაღწევი ეტაპები (milestones ⁶) ასახულია NDC-ის დროის ჩარჩოში?				
24.	შესაბამისობაშია დოკუმენტები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან?				
25.	საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) იყენებს კლიმატის ცვლილების ბუნებრივ პროცესებზე დაფუძნებულ გამოსავლებს (Nature Based Solutions ⁷)?				
26.	დოკუმენტები მოიცავს ისეთ სექტორებს, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური განვითარება?				
27.	დოკუმენტებში ასახულია „მწვანე შეთანხმების“ (Green Deal ⁸) და ევროკავშირთან ასოცირების საკითხები?				

⁶ <https://www.merriam-webster.com/dictionary/milestone>

⁷ <https://www.iucn.org/commissions/commission-ecosystem-management/our-work/nature-based-solutions>

⁸ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en

დოკუმენტების რეგიონული სპეციფიკა					
28.	NDC/CSAP-ში ასახულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი?				
29.	დოკუმენტებში ასახულია თქვენი რეგიონის სპეციფიკა?				
30.	თქვენი რეგიონის რომელიმე მუნიციპალიტეტი არის მერების შეთანხმების ⁹ ხელმომწერი?				
31.	ქვეყნისა და რეგიონების სტრატეგიულ დოკუმენტებში და სამოქმედო გეგმებში ინტეგრირებულია კლიმატის პოლიტიკა?				
32.	შეფასებულია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ან ქმედებების შედეგად მოსალოდნელი ან მიღწეული ცვლილებების მასშტაბი?				
დოკუმენტების სექტორული სპეციფიკა					
33.	ასახულია დაბალი ემისიის მქონე ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდის გზები ავტოპარკში?				
34.	ასახულია ყველა მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტით ურბანული ტრანსპორტის ჩანაცვლების გზები?				
35.	ასახულია კერძო მსუბუქი ავტომობილების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზები?				
36.	ასახულია სატვირთო გადაზიდვების საგზაოდან სარკინიგზო ტრანსპორტზე გადატანის გზები?				
37.	ასახულია სამრეწველო შენობებში განახლებადი ენერჯიების გამოყენების ხელშეწყობის გზები?				
38.	ასახულია აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ფოლადის წარმოებისგან მიღებული ემისიების შემცირებასთან ან ენერგო-აუდიტის და სერტიფიცირების სქემების დანერგვის მხარდამჭერ ღონისძიებებთან?				
39.	ასახულია სოფლის მეურნეობაში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემის გზები?				
40.	ასახულია ნიადაგის გადამოვებისა და არამდგრადი გამოყენების რეგულირების გზები?				

⁹ <http://com-east.eu/ka/>

41.	ასახულია ბიომასის წვის პრაქტიკის რეგულირებისა და ქარსაფარი ზოლების ხელახალი განთავსების გზები?				
42.	ასახულია სარწყავი პრაქტიკის რეგულირების გზები?				
43.	ასახულია ნაწლავში ფერმენტაცია - მეთანის (CH ₄) ემისიის შემცირება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ისეთი საქმიანობით, როგორცაა კვების სტრატეგიის გაუმჯობესება, ნახირის მართვისა და სილვოპასტორალური ⁷ სისტემის დანერგვის საკითხი?				
44.	წარმოდგენილია ნიადაგის ნახშირბადის აუზის საკითხი - სამოვრების ან კულტურების ნიადაგებში ნახშირბადის შეკავების ზრდა ისეთი საქმიანობის საშუალებით, როგორებიცაა კონსერვაცია, სოფლის მეურნეობის ნარჩენების მართვა და აგროსატყეო მიმართულება?				
45.	ასახულია სატყეო სექტორში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემის შექმნის გზები?				
46.	ასახულია ტყის უკანონო ჭრის შემცირების გზები?				
47.	ასახულია დაცული ტერიტორიების გაფართოების საკითხი?				
48.	ასახულია ტყეების გაშენება და / ან ტყეების აღდგენა - ნახშირბადის შეკავების ზრდა და/ან შეშის წვით გამოწვეული ემისიების შემცირება?				
49.	ასახულია ბრიკეტებზე, პალეტებსა და ენერგოეფექტურ ლუმელებზე გამარტივებული ხელმისაწვდომობის გზები?				
50.	ასახულია ტყეების გაჩეხვა ან/და დეგრადაციის თავიდან აცილება?				
51.	ასახულია არაურბანული შენობების ენერგოეფექტურობის საკითხის მოგვარების გზები?				
52.	ასახულია ტყის ხანძრებთან ეფექტიანი გამკლავების გზები?				
53	ასახულია მარეგულირებელი პოლიტიკა ახალი შენობებისთვის, სადაც აღნიშნულია: სავალდებულო სამშენებლო კრიტერიუმები; მშენებლობის ნებაყოფლობითი კრიტერიუმები; ენერგოეფექტურობის მინიმალური სტანდარტები ტექნიკისთვის; სავალდებულო ეტიკეტირების, სერთიფიკატების და ენერგოაუდიტების ჩატარება; ფინანსური დახმარების პოლიტიკა ახალი და არსებული შენობებისთვის; პირდაპირი ფინანსური წახალისება და ფისკალური ზომები?				

¹⁰ სატყეო საძოვარი <https://en.wikipedia.org/wiki/Silvopasture>

54	ასახულია შენობებში მზის ენერჯისა და გეოთერმული წყლების გამოყენების ხელშეწყობის გზები?				
55	ასახულია შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების გზები?				
56	ასახულია საცხოვრებელი და საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზები?				
57	ასახულია საცხოვრებელი შენობების თბომომარაგების გაუმჯობესების გზები?				
58	ასახულია ნარჩენების სექტორში მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემის შექმნის გზები?				
59	ასახულია ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის გზები?				
60	ასახულია ნარჩენების დახარისხების, გადამუშავებისა და შემცირების გზები თქვენი მუნიციპალიტეტის დონეზე?				
61	ასახულია საკანალიზაციო სისტემების განვითარების გზები იმ დონემდე, რათა ხდებოდეს წყლის გაფილტვრა და ბიოგაზის წარმოება?				
დოკუმენტების სპეციფიკური საკითხები					
62	ასახულია შავი ზღვიდან ემისიების საკითხები?				
63	უზრუნველყოფს მუშებისა და ადგილობრივი თემებისათვის სამართლიანი გადასვლის (just transition) (დაბალემისიანი ტექნოლოგიებით სამუშაო ადგილების შექმნა) საკითხებს?				
64	ასახულია განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, გეოთერმული) წარმოების ხელშეწყობის გზები?				
65	ასახულია საგადასახადო წახალისების გზები და სატარიფო პოლიტიკა განახლებადი ენერჯიებისათვის?				
66	ასახულია გენდერული და მოწყვლადი ჯგუფების საკითხები?				
67	ასახულია ბიომრავალფეროვნების საკითხები?				
68	ასახულია ენერგოდამოუკიდებლობის პოლიტიკის საკითხები ?				
69	ასახულია გარემოს დაცვითი განათლების საკითხები?				
70	ასახულია სამოქალაქო, ჟურნალისტური და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების საკითხები?				
71	ასახულია ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები?				
72	ასახულია სიღარიბის დამლევის საკითხები?				
73	ასახულია დემოგრაფიული საკითხები?				

გთხოვთ, დაამატოთ ის საკითხები, რაც ზემოთ არ იყო ნახსენები, მაგრამ მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ

საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით დოკუმენტს და რა რეკომენდაციებს მისცემდით მის შემდგენლებს?

რა საკითხი უნდა იყოს თქვენი რეგიონის დონეზე წარმოდგენილი?

ბიბლიოგრაფია:

- https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/29290?fbclid=IwAR1KFnws0-TTw-k7utu3Deq_VSe8AUPJoA3JAUcsKgbAOETNiEXOPIxxzcQ
- https://files.wri.org/s3fs-public/enhancing-ndcs_0.pdf
- https://wwf.panda.org/our_work/our_focus/climate_and_energy_practice/ndcs_we_want/?364143/NDCsWeWant-WWF-climate-ambition-checklist
- <https://idfi.ge/public/upload/Meri/Final.PDF>
- https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en
- <http://com-east.eu/ka/>
- <https://en.wikipedia.org/wiki/Silvopasture>
- <https://climateactiontransparency.org/wp-content/uploads/2020/03/Overview-of-the-ICAT-series-of-assessment-guides.pdf>
- <https://climateactiontransparency.org/icat-toolbox/introduction-to-the-icat-assessment-guides/>
- https://ndcpartnership.org/sites/default/files/Country_Brief-Georgia-Shapes-Its-Climate-Goals-to-Avert-Disasters-and-Protect-Its_Legacy-October_2020.pdf
- <https://www.wri.org/news/ndc-enhancement-and-covid-19-recovery-building-blocks-sustainable-future?fbclid=IwAR1HUKhUJ0fQ81duPYoKfgkqVI8PVOfcVpuotxE8926p4ji9csvIGtXBSv4>
- https://www.wri.org/publication/enhancing-ndcs?fbclid=IwAR0SFgc_zIIsyTxKYCOK06Wr0QPfQc9bD8cpRXi7JBML2_cCZv5qRSEycJU
- https://www4.unfccc.int/sites/ndcstaging/PublishedDocuments/Chile%20First/Chile%27s_NDC_2020_english.pdf

სახელმძღვანელო მომზადდა დავით სიდამონიძის მიერ

სახელმძღვანელო მომზადდა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ეროვნული კლიმატის პოლიტიკის განხორციელება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს მიერ, „დედამიწის მეგობრები-გერმანია (BUND) თანამშრომლობით, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BMU) მხარდაჭერით

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112
ტელ: (+995 32) 2 30 62 21
ელ. ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge